ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2019 წლის 19 ივნისის რიგგარეშე სხდომის

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 21 ივნისის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

მომხს: მანანა ბარბაქაძე

სხდომის თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2019 წლის 19 ივნისის რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი № 17

დ. ხარაგაული

9 აპრილის ქ. #15

19 ივნისი 2019 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა - საკრებულოს თავმჯდომარე - მანანა ბარბაქაძე.

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

რუსუდან გიორგაძე- საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

გივი თხელიძე - ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე,

დავით კიკნაძე - საკრებულოს განათლების, კულტურის და ახალგაზრდობის საქმეთა კომისიის თავმჯდომარე,

ვარლამ ჭიპაშვილი -საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე,

იუზა კელენჯერიძე - ფრაქცია „ქართული ოცნება - მრეწველები"-ს თავმჯდომარე,

აკაკი ლურსმანაშვილი - ფრაქცია „ქართული ოცნება - მწვანეები" -ს თავმჯდომარე,

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეები:

შალვა ლურსმანაშვილი - ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარის მოადგილე,

მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი:

ვლადიმერ გელაშვილი- მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახური უფროსი,

საკრებულოს აპარატი:

ლ. კალანდაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი,

ნ. თხელიძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

თ. მაღრაძე - ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის" ჟურნალისტი,

მ. შათირიშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების თანამშრომელი,

თ. გოგოლაძე - გაზეთ „ჩემი იმერეთის" ჟურნალისტი

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარის მ. ბარბაქაძის ინფორმაცია, რომელმაც ბიუროს წევრებს გააცნო ბიუროს სხდომის დღის წესრიგი და ბიუროს სხდომაზე განსახილველ საკითხთა შემდეგი ნუსხა

დღის წესრიგი

1.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 21 ივნისის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

მომხს: მანანა ბარბაქაძე

საკითხთა ნუსხა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 დეკემბრის N48 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2019 წლის 19 ივნისის სხდომის დღის წესრიგისა და საკითხთა ნუსხის დამტკიცების შესახებ

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 7 წევრი:

მომხრე 7

წინააღმდეგი 0.

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსის ვ. გელაშვილის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 დეკემბრის N48 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

აზრი გამოთქვეს:

მ. ბარბაქაძემ საკრებულოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ შედგენილია პროექტი ბორითის ადმინისტრაციულ ერთეულში საზოგადოებრივი ტრანსპორტის დანიშვნის თაობაზე და უახლოეს დღეებში წარმოუდგენთ მერიას ამიტომ მოგიწოდებთ, ნუ შეეხებით საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურებისათვის გამოყოფილ თანხას და ნუ გადაიტანთ სხვა მიმართულებით.

ვ. გელაშვილმა მომხსენებელმა უპასუხა, რომ თუ ასეთი მოხდება ის შეეცდება სხვა მიმართულებიდან გამონახოს ტრანსპორტისათვის თანხა და ხელს არ შეუშლის პროექტის განხორციელებას.

შ. ლურსმანაშვილი დაინტერესდა წარმოდგენილი დოკუმენტში მითითებული 61 220 ლარის რა თანხაა

ვ. გელაშვილმა განუმარტა, რომ 2015 -2017 წლებში მეწარმეთა მიერ შეუსრულებელი სამუშაოების გამო ავანსად გადარიცხული თანხა დაბრუნდა უკან.

დ. კიკნაძემ აღნიშნა, რომ ლეღვანში მომხდარი სტიქიის გამო გზა წესრიგშია მოსაყვანი , უბრალოდ, რომ გაიწმინდოს და პატარა მანქანამ შეძლოს გავლა, მე ველაპარაკე ინფრასტრუქტურის სამინისტროს ლეღვანში მომხდარ სტიქიასთან დაკავშირებით და მითხრეს თანხაზე პრობლემა არ გვაქვს წარმოსდგენია პროექტი, რამდენი დროა საჭირო, რომ პროექტი გაკეთდეს.

ვ. ჭიპაშვილმა აღნიშნა, რომ საკრებულო იყო მართალი, როცა ინფრასტრუქტურის სამსახურის საქმიანობა შეფასდა უარყოფითად, აქედანაც კარგად ჩანს, რომ ინფრასტრუქტურის კუთხით ცუდად გვაქვს საქმე, დააბრუნებინეთ „ნიუგრუპს“ თანხა

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2019 წლის 2 1 ივნისის სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 7 წევრი:

მომხრე 7

წინააღმდეგი 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2019 წლის 2 1 ივნისის სხდომის დღის წესრიგში.

2.დაევალოს საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს მ. ფხალაძეს საკითხი განიხილოს კომისიის სხდომაზე.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1.დამტკიცდეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 21 ივნისის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი (თან ერთვის).

ამით ბიუროს სხდომის მიერ განსახილველი საკითხი ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 21 ივნისის

რიგგარეშე სხდომის

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 დეკემბრის N48 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე